ხაშურის მოამბე

№7 20 ივლისი, ორშაბათი, 2015 წელი

ცხადდება კონკურსი!

ხაშურის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს „ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდოს - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ მოსაპოვებლად.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია“ ენიჭება:

ა) დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისათვის ნომინანტს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე სამეცნიერო ნაშრომები-მონოგრაფია, სტატიები, დოკუმენტური მასალა და იყოს ამ საკითხისა და სფეროს აღიარებული მკვლევარი;

პრემიის ოდენობა განისაზღვრება 2500 ლარით.

ბ) განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე. ნომინანტს მნიშვნელოვანი წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების განვითარების, მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეში. ხაშურის მუნიციპალიტეტის ავტორიტეტისა და ცნობადობის გაზრდაში, რეგიონისა და ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

პრემიის ოდენობა განისაზღვრება 2500 ლარით.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის საპატიო ჯილდო - დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიის“ მიღებასთან დაკავშირებული კონკურსის ჩატარების სამუშაო ჯგუფში შედიან:

1) ვაჟა შუბითიძე - პროფესორი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

2) თამარ ბარბაქაძე - პროფესორი;

3) ზურაბ ცუცქირიძე - პროფესორი;

4) კონსტანტინე ფრუიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი;

5) რევაზ ნოზაძე - დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მენეჯერი;

6) ზაზა გვრიტიშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურისტი;

7) დოდო ლაცაბიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის სპეციალისტი.

საკონკურსო განცხადებები მიიღება 25 ივლისის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ტაბიძის ქ. 2 ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული; განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

მოწესრიგდა ქვეითთა გადასასვლელები

ხაშურში ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელების, პარკირების ადგილებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგების სამუშაოები მიდინარეობს.

უკვე მოეწყო ქვეითთა გადასასვლელი რუსთაველის,თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩებზე. რუსთაველის ქუჩაზე მოეწყო ღერძულა ხაზი. პარკირების ადგილები მოინიშნა რუსთაველისა და სააკაძის ქუჩებზე. საგზაო ნიშნები მოეწყო ხაშურში,დაბა სურამსა და სოფელ ცხრამუხაში დამონტაჟებულ სიჩქარის შემანელებელ ბარიერებთან.

აღსანიშნავია, რომ პარკირების ადგილების მონიშვნა ხაშურში პირველად განხორციელდა.

იქნება ხაშურში პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალი?

ვაჟა შუბითიძე: -იქნება!

ჩვენ უკვე დავაანონსეთ იმ სიახლის შესახებ, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას ეხებოდა: ივნისის თვეში ამ საბჭომ, ხაშურში, უნივერსიტეტის ფილიალის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო. 10 ივლისს კი პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სენატმა გადაწყვეტილება დაამტკიცა. ეს,ასე ვთქვათ,უნივერსიტეტის ბოლო უფლებამოსილი იურიდიული „ინსტანციაა“ და გადაწყვეტილებაც ძალაში შევიდა. რა იქნება ამის შემდეგ,როგორ დაიძლევა ფინანსური „ბარიერები“,სად უნდა განთავსდეს უნივერსიტეტი,რა ფაკულტეტების ფუნქციონირებაა ჩაფიქრებული. სწორედ ამ თემებზე ვესაუბრეთ ხაშურის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს ვაჟა შუბითიძეს.

–რა თქმა უნდა, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა დღეს და ხვალ არ მოხდება,–აღნიშნა მან ჩვენთან საუბარში,-წინ უამრავი სამუშაო გველის, რომლის დასაძლევად ჩვენ მზად ვართ და იმედია, ყველაფერი საბოლოო შედეგით დაგვირგვინდება. უპირველესად, შენობის საკითხია გადასაწყვეტი. ჩვენ ვესაუბრეთ სურამისა და ხაშურის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე სვიმეონს, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ამ დიდი საქმისთვის, ეპარქიის ბალანსზე რიცხული შუშის ქარხნის ყოფილი კულტურის სასახლის შენობა გადასცეს მუნიციპალიტეტს. მთავარი საქმე სწორედ ამის შემდეგ დაიწყება. მოსაძიებელი იქნება თანხები, რომლითაც უნდა გარემონტდეს ეს შენობა და მივიდეს იმ კონდიციამდე,რომ მასში უნივერსიტეტის განთავსება გახდეს შესაძლებელი. რა თქმა უნდა, არაა იოლი საქმე. თუმცა,ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი გეგმა და მის განხორციელებასაც ვიწყებთ. ვესაუბრეთ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის უფროსს მამუკა ბახტაძეს, რომელიც თანხმაა ფინანსურად დაგვეხმაროს, იმის სანაცვლოდ, რომ ჩვენ ამ ფილიალში რკინიგზისათვის კადრებს აღვზრდით. პარალელურად, მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტულ ინფრასტრუქტურულ მიმართულებებში სწორედ ამ საკითხის შეტანას ვაპირებთ და იმედი გვაქვს, ცენტრალური ხელისუფლება გვერდში დაგვიდგება. იმედია, განათლების სამინისტროც გაიღებს თანხებს. დიდი იმედი გვაქვს საზოგადოების თანადგომისაც, რადგან ეს პროექტი მხოლოდ საგანმანათლებლო არ იქნება და მასში სოციალური ასპექტიცაა. თვითონ განსაჯეთ: მხოლოდ იმით, რომ ხაშურელი სტუდენტი ადგილზე ისწავლის და არა თბილისში, მშობელს (ოჯახს) ამით საშუალოდ 6-7 ათასი ლარის დაზოგვა შეეძლება (ბინის ქირა, ტრანსპორტი, კვება...). ამასთან, თვითონ წარმოიდგინეთ, როგორ მოწესრიგდება ხაშურის ამ უბნის ინფრასტრუქტურა. მთლიანად შენობაში დაახლოებით 2500 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართი იქნება, რაც რვაასამდე სტუდენტის მიღების შესაძლებლობას იძლევა. ფილიალის კომპიუტერებით აღჭურვას მთლიანად ტექნიკური უნივერსიტეტი იღებს თავის თავზე. პარალელურად, მოხდება ფილიალის ჩართვა საბიბლიოთეკო ინტერნეტქსელში, რომლითაც სტუდენტებს მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქის ბიბლიოთეკასთან ექნება წვდომა,რაც შეეხება ფაკულტეტებს,ვფიქრობთ,10-12 მოთხოვნადი დარგის სპეციალისტებს აღვზრდით.

ასე, რომ სამუშაო მართლაც ბევრია, მაგრამ იმედია, ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდება და ხაშურში ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალი გვექნება,- დასძინა ბოლოს ბატონმა ვაჟამ.

გ. მაღრაძე

ვირუსი რომ თავიდან ავიცილოთ

ყირიმ-კონგოს ვირუსმა, რომლის გადამტანიც ტკიპაა, კვლავ შეგვახსენა თავი. არა, ჯერ-ჯერობით საშიში არაფერია, მაგრამ რომ არ განმეორდეს გასული წლის რამდენიმე ფატალური შედეგი, ამისათვის ამთავითვე ზრუნავს სურსათის ეროვნული სააგენტო. როგორც ამ სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამსახურის სპეციალისტმა შმაგი ზაზიკაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, უკვე შემოტანილია სპეციალური პრეპარატი ურუგვაიდან (ექტოსულე), რომლის საშუალებითაც მოხდება მუნიციპალიტეტის 14 სოფელში საქონლისა და მათი სადგომების დამუშავება-დეზინფექცირება. იმედია, მოსახლეობა გაგებით მოეკიდება ამ ფაქტს და თვითონაც შეუწყობს ხელს, რომ ეს სამუშაოები დროულად და ხარისხიანად შესრულდეს.

ი. პაპიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება 28

2015 წლის 6 ივლისი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების , მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“–ს 16-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის, 61–ე მუხლის 1-ლი და მე–2 პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესი (დანართი 1)

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

„დანართი 1

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესს

მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების , მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესს

მუხლი 2.

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიან სახლებში სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაცია – დადგენილი წესით გარკვეული რიგითობის მიხედვით ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიან სახლებში სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დანომვრა არაბული ციფრების, ქართული ანბანის ასოების ან/და ინდექსების მეშვეობით.

ბ) ბინა მრავალბინიან სახლში – მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგანი, რომელიც შეიძლება იყოს ერთ სისტემაში გაერთიანებული მომიჯნავე სათავსების ერთობლიობა ან იზოლირებული სათავსი (სათავსები), რომელიც გამოიყენება საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი, მათ შორის, კომერციული მიზნებისათვის.

გ) დაინტერესებული პირი – ნებისმიერი მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე კანონიერი მოსარგებლე, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნუმერაცია.

დ) კანონიერი მოსარგებლე – ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი, და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს ბინით, შენობით.

ე) შენობა – მიწასთან მყარად დაკავშირებული, სამშენებლო სამუშაოების შედეგად, საძირკვლის, მზიდი და შემომზღუდავი კონსტრუქციების გამოყენებით, დახურული სივრცის შექმნის მიზნით აგებული ერთიანი სამშენებლო სისტემა, რომელიც გამიზნულია ადამიანთა ხანგრძლივი დროით სამყოფად და გამოიყენება საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო მიზნებისათვის.

ვ) ინდექსი – რიცხვითი ან ასოითი მაჩვენებელი, რომელიც ციფრს ეწერება ქვევით.

მუხლი 3.

1. ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის შეცვლის ან/და ახალი ნუმერაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) შენობის/შენობების ნუმერაციის არარსებობა;

ბ) შენობის/შენობების გაყოფა ან/და შეერთება;

გ) არსებულ დოკუმენტებში შენობის/შენობებისთვის მინიჭებული ნომრების აღრევა;

დ) სხვა ცდომილება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შენობის/შენობების ნუმერაციის მოთხოვნა.

მუხლი 4

1. მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის შეცვლის ან/და ახალი ნუმერაციის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) სადარბაზოს/სადარბაზოების ან/და ბინის/ბინების ნუმერაციის არარსებობა;

ბ) ბინის/ბინების გაყოფა ან/და შეერთება;

გ) არსებულ დოკუმენტებში სადარბაზოს/სადარბაზოებისთვის ან/და ბინის/ბინებისთვის მინიჭებული ნომრების აღრევა;

დ) სხვა ხდომილება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სადარბაზოს/სადარბაზოების ან/და ბინის/ბინების ნუმერაციის მოთხოვნა.

2. ნუმერაცია დაუშვებელია თუ მესაკუთრეს ან კანონიერ მოსარგებლეს არ გააჩნია ბინით დამოუკიდებლად სარგებლობის შესაძლებლობა და იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ცალკე უფლების ობიექტს.

3. მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაცია ხდება მარცხნიდან მარჯვნივ.

მუხლი 5

1. ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების,ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციასთნ დაკავშირებით,ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას წერილობითი განცხადებით შეიძლება მიმართოს უძრავი ქონების მესაკუთრე დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის აზრით, თუ რომელი ქუჩის(ხეივნის, შესახვევის, ჩიხის, მოედნის, სკვერის, მრავალბინიანი სახლის სადარბაზოის, ბინისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის) რომელ ნომერს (ნომრის არარსებობისას რომელ ობიექტს) რა ნომერი უნდა მიენიჭოს. განცხადება უნდა შეიცავდეს დეტალურ დასაბუთებას ნომრის მინიჭების ან შეცვლის თაობაზე. განცხადება უნდა პასუხობდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათავალისწინებულ, ადმინისტრაციული განცხადებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

3. განცხადებას ქუჩების,ხეივნების,შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის შესახებ უნდა დაერთოს:

ა) სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ამონაწერი (დამოწმებული ასლი) საჯარო რეესტრიდან (განცხადების წარდგენის დროს ძალაში არსებული) ქუჩის იმ ნომრით რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრის შესახებ, რომელსაც განმცხადებლის აზრით უნდა შეეცვალოს ნომერი;

ბ) სსიპ. – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული საინფორმაციო ცნობა იმის შესახებ, რომ ქუჩის იმ ნომერზე, რომლის მინიჭებაც სურს განმცხადებელს, არ არის რეგისტრირებული სხვა უძრავი ქონება;

გ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

მუხლი 6

1. ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაცია ხდება არაბული ციფრით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში, შენობის სპეციფიკიდან გამომდინარე - არაბულ ციფრზე ინდექსის დამატებით.

2. მრავალბინიან სახლებში სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაცია ხდება არაბული ციფრით ან ციფრზე ქართული ანბანის ასოს დამატებით.

3. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის ნუმერაცია იწყება იმ მხრიდან,რომელიც ყველაზე ახლოსაა ხაშურში მდებარე დიმიტრი ყიფიანის სახელობის მოედანთან და უნდა განხორციელდეს ისე,რომ მან არ გამოიწვიოს ერთი ქუჩის სხვადასხვა ნომრებს შორის აღრევა,გაუგებრობა ან/და მესამე პირების შეცდომაში შეყვანა.

4. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის ნუმერაცია უნდა განხორციელდეს არაბული ციფრებით, უწყვეტობის პრინციპის დაცვით. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის ბოლოს ახალი უძრავი ობიექტების დამატების შემთხვევაში ნუმერაცია გრძელდება უწყვეტად. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის დასაწყისში ან დასაწყისიდან დასასრულამდე მანძილზე ახალი უძრავი ობიექტების დამატების შემთხვევაში ქუჩის, შესახვევის, ჩიხის ნუმერაციის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით,ახალ ობიექტს ენიჭება უახლოესი უძრავი ობიექტის ნომერი დამატების აღნიშვნით. დამატება აღინიშნება ანბანური წყობის მიხედვით (მაგ: 25-ა, 25-ბ და ა.შ.);

5. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის ნუმერაცია ხორციელდება ქუჩის, შესახვევის, ჩიხის კენტი და ლუწი ნომრების (რიცხვების) ურთიერთსაპირისპირო წყობით. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის ერთ მხარეს ენიჭება კენტი ნომერი, ხოლო მეორე, საპირისპირო მხარეს, ლუწი ნომერი.

6. ქუჩის, შესახვევის, ჩიხის სახელწოდების შეცვლის შემთხვევაში, მოქმედი ნუმერაცია რჩება უცვლელად.

7. განსაკუთრებულ შემთხვევაში ქუჩის,შესახვევის, ჩიხის ნუმერაციის უწყვეტობის შენარჩუნებისა და ამ საკითხში წესრიგის დამყარების მიზნით, სათანადო დასაბუთების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული ქუჩის სრული ხელახალი ნუმერაცია.

მუხლი 7

1. განცხადებას ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინებისა და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის შესახებ, განიხილავს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განცხადების რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გამგებელს წარუდგენს ბრძანების პროექტს ნუმერაციის თაობაზე.

2. გამგებლის ბრძანება,წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეგზავნება იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებს მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის მიზნით.“

საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე

სუსხიანი წკიპურტები ქართულ ტელევიზიას

ვიცი, რომ ამ წერილის დაწერით გაღიზიანებული ლომის ხახაში ვყოფ ხელს, მაგრამ უამისოდაც არ შემიძლია, რადგანაც ქართული სატელევიზიო არხების ზოგიერთი გადაცემა აბსოლუტურ შეუთავსებლობაში მოდის ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებთან.

ვიდრე კონკრეტულ თემებზე გადავიდოდე, ვსვამ კითხვას: რას არეგულირებენ მედიასაშუალებების მარეგულირებელი კომისიები?

სასტიკი წინააღმდეგი ვარ ტელეგადაცემათა პოლიტიკური თვალსაზრისით ცენზურის მაგვარი ჩარევისა, მაგრამ ისეთ გადაცემებს, რომლებიც არ წაადგება საზოგადოებაში და განსაკუთრებგით ახალგაზრდებში დადებით მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის ჩამოყალიბებას, ნამდვილად ესაჭიროება ფხიზელი თვალყურის დევნება და გონივრული რეკომენდაციები.

რუსთაველის შთამომავლად ვეღარ იგრძნობ თავს, როცა უსმენ იმ დიაცთა გადაცემებს, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს სატელევიზიო სივრცე, თავი მიაჩნიათ ხელშეუხებელ ანგელოზებად და გენიოსებად, თითქოს მათი პირადი წარმოდგენანი, ცხოვრების ამა თუ იმ საკითხებზე, ყველაზე ჭკვიანური, ობიექტური და ღირებულია. ოდნავი კრიტიკაც კი თავისუფალი მედიის შეზღუდვის მცდელობად მიაჩნიათ, რატომღაც ავიწყდებათ, რომ თავისუფალი მედიაც რაღაცაზე უნდა იყოს დამოკიდებული და ეს „რაღაცა“ საკმაოდ მრავალწახნაგოვანია.

რას არ მოისმენ ე.წ. შოუბიზნესის პროგრამებში.

ერთი მიბრძანეთ, რა უფლება აქვს ტელეჟურნალისტს მოსახლეობის სამსჯავროზე დასვას კითხვა, ესა თუ ის პირი დამნაშავეა თუ პოლიტპატიმარი და ამ საკითხზე სახალხოდ აკამათოს მოქალაქენი, რომლებიც, ფაქტობრივად, არც კი იცნობენ საქმის ობიექტურ არსს.

„ავსა კაცსა ურჩევნია, ავსამცა რას ადრე სცნობდა“-ო მაგონდება, როცა ტელეარხები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო ადრე ამცნობს მოსახლეობას მომხდარი უსიამოვნო ფაქტების შესახებ, თანაც ინდივიდის მიერ განსხვავებული აზრის გამოთქმას ისე მონათლავენ დაპირისპირებად, გეგონება ქვეყანა იქცევაო, მსმენელში ათასნაირ კითხვას წარმოშობენ, როცა ჭორიკნულად აცხადებენ „ამბობენ“-ო, კი მაგრამ, ვინ ამბობს, რას ამბობს? იქნებ სულაც არ ამბობენ ჯობია ვადროოთ, რას იტყვიან.

ასეთ წყლის ნაყვაზე რუსთაველმა თქვა: „ამოა, როცა კაცი კაცს ამოსა უშენებდეს“-ო და კიდევ: „ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნვებს“-ო.

ტელეჟურნალისტები სრულიად კანონზომიერად გმობენ სიძულვილის ენას, მაგრამ ეკრანზე საეთერო დროს ხშირად უთმობენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც შხამის გადმოფრქვევის გარეშე არ შეუძლიათ ილაპარაკონ მათთვის არასასიამოვნო პირის ან პირთა ჯგუფის შესახებ.

ასეთი გესლიანი ადამიანები განსაკუთრებით აუტანლები ხდებიან პოლიტიკური გადაცემების დროს. მათ ავიწყდებათ, რომ შეიძლება „საუბარმან უმეცარმან, შმაგი უფრო გააშმაგოს“, და უკეთესია იფიქრონ იმაზე, რომ „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, თანაც „თქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულს“-ო. ამ გამონათქვამებს განსაკუთრებით რუსეთის მისამართით საუბრისას უნდა ჩაუფიქრდნენ. სიშლეგემ ხომ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ჩვენ ყოფილ პრეზიდენტს თავი ბრძენი ეგონა, მაგრამ „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა“. მას მხოლოდ სიძულვილის ენით შეეძლო ლაპარაკი.

ტელედიაცთა ჭორაობას საზღვარი არ აქვს. ლამის ისიც კი გადმოსცენ, ვის რა ფერის საცვალი აცვია. დიდ დროს უთმობენ ბიკინების, ბიუსჰალტერის, ხე-ლოვნრად დაბერილი მკერდების, ჰიგიენური საფენების, პამპერსების და მისთანანის რეკლამებს, მაშინ, როცა მოსახლეობამ არაფერი იცის ჩვენი დამსახურებული მეცნიერ-მუშაკების შესახებ.

ამ უწყინარ რეკლამებში თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. საჭირო ან აუცილებელი რომ ყოფილიყო, შემოქმედს არ დაავიწყდებოდა მკერდში სილიკონების ჩატენვა.

არავის ვურჩევ ღმერთისმიერ სრულყოფილი ქმნილების, ადამიანის გადაკეთებას. სიამოვნება და მიმზიდველობა ნატურალიზმშია და არა ხელოვნურ მოჩვენებითობაში.

მედიცინა ცდილობს ორგანიზმის მთლიანობის დარღვევის ფაქტები და მასში უცხო სხეულთა შეყვანა უწყინრად წარმოგვიდგინოს, მაგრამ იმ მედიცინის, რომლებშიც პოლიტიკაში ან ბიზნესში ერევიან, მე ბევრი არაფერი მჯერა. მედიცინა მხარს უჭერდა საათის ისრის გადაწევ-გადმოწევას და ხმაც არ ამოუღია იმის შესახებ, რომ ისრის გადაწევ-გადმოწევით სამყაროს დროის ცვალებადობას ვერ შეძლებ, ამიტომაც საათმა უნდა აღნიშნოს არსებული ნამდვილი დრო, ხოლო ადამიანები სამსახურში ერთი საათით ადრე ან გვიან - მივიდ-მოვიდნენ. დროში გადახტომ-გადმოხტომა უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე.

მედიცინამ მხარი დაუჭირა ხუთი წლის ასაკის ბავშვების სასკოლო პროგრამით და რეჟიმით დატვირთვას და ხმაც არ ამოუღია, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ჯანმრთელობის საქმეში ყოველდღიურად ძალით გაღვიძებამ, ძალით კვებამ, ნერვების აშლამ და არასაბავშვო რეჟიმში ცხოვრებამ. ასეთი აშლილობა უარყოფით შედეგს ათწლეულების შემდეგ გამოიღებს.

მედიცინა ჭარბწონიან ადამიანებს წონის დაკლებას წინმკლავი - განმკლავი - ზემკლავი - ქვემკლავის ვარჯიშებით და იატაკზე გორაობისას ფეხების ქნევით ურჩევს და ერჯერაც არ წამოცდებათ, რომ ასეთმა პირებმა დასვენების დრო ნებივრობაში კი არ გაატარონ, არამედ სოფლებს მიაშურონ, სოფლის ქალების ცხოვრებით იცხოვრონ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების იარაღებს მოჰკიდონ ხელი, მიწის ნაკვეთები, ბაღ-ბოსტანი და ვენახები დაამუშაონ, ცხოველებსა და ფრინველებს მოურაონ, ნაკლებად ყუათიანი საჭმელ-სასმელით, ახალ-ახალი ხილ-ბოსტნეულ-ბაღჩეულით იკვებონ. ასე გაიკაჟონ ორგანიზმი და შრომაში ოფლის ღვრით დაიკლონ წონაში.

მედიცინა ღუპავს ადამიანებს, როცა კვებით დიეტას უნიშნავს, ხმას არ იღებს იმაზე, რომ შემოქმედმა ადამიანს და ყველა ცოცხალ არსებას აჩუქა საოცრება სისხლმბადი ორგანოს, ღვიძლის სახით, რომელიც ორგანიზმში მიწოდებული საკვებიდან საჭირო ნივთიერებებს შეითვისებს, არასაჭიროს კი განდევნის. ღვიძლს აკისრია სასიცოცხლო ფუნქციების შენარჩუნებისათვის საჭირო ნივთიერებათა მარაგის შენახვა-გაცემის ფუნქციაც. ამიტომაც ჯანმრთელმა ადამიანმა უნდა მიირთვას ყველაფერი, რისი ჭამაც შეიძლება და ნაკლებად იფიქროს, რა შეერგება და რა - არა. დაავადებულმა კი გინდა ექიმს უსმინოს და გინდა - ექიმბაშს.

რა თქმა უნდა, სოფლებშიც ცხოვრობენ ჭარბწონიანი ადამიანები, მაგრამ ეს მათი დაავადებაა და არა უმოძრაობის შედეგი.

ვიცი, ეს წერილი, თუ მას გამოქვეყნება უწერია, ტელედიაცთა რისხვას გამოიწვევს, მაგრამ მათი გადაცემებიც ხომ იწვევს მრავალ მაყურებელთა რისხვას.

ეს რისხვა კი გამოწვეულია ოჯახისა და სიყვარულის თემებზე ისეთი გადაცემებით, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგებიან ქართულ ტრადიციებს.

ამ წერილში არ შევეხები საკითხს იმის შესახებ, რომ ლამის გმირებად წარმოგვიდგინონ არატრადიციული სექსის მიმდევარნი და მქადაგებელნი.

„დიაცად“ მოხსენიება, არ მინდა შეურაცხყოფად მიიღონ, მაგრამ ქალბატონებად ვერ მოვიხსენიებ მდედრობითი სქესის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც ტელეეკრანზე სამსჯავროდ გამოაქვთ თემები ოჯახური ურთიერთობებისა და ქალიშვილობის ინსტიტუტის შესახებ. ნუთუ მათ არ სმენიათ, რომ „ცოლ-ქმრის საიდუმლოება ლოგინმა იცისო“, და არაეთიკურია იქ მომხდარის შესახებ სჯა-ბაასი.

ეს დიაცები, შეიძლება, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების რამდენიმე დიპლომს ფლობენ, მაგრამ მათ განათლებისა არაფერი ემჩნევათ. განათლებულ ადამიანს, ვისაც შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ წაუკითხავს, აზრად არ მოუვა რომ მცირედი ოჯახური უთანხმოების გამო ქალებს უკიჟინოს: თუ ვერ ეწყობი, გაშორდიო. განათლებული ქალბატონი გაღიზიანებულ წყვილს მიმართავდა: „თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მიჰყევ, რაცა სწადდეს“-ო ან კიდევ: „კარგი მიჯნური იგია, ვინც იქმს სოფლისა თბომასა“-ო. დიახ, ტელეჟურნალისტებო, „არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა“. ოჯახური უთანხმოების ეკრანებზე გამოტანას, ჯობია, იქადაგო, რომ ამპარტავნობას სიყვარული არ უნდა გადავაყოლოთ.

როგორ შეიძლება ქალბატონი უწოდო დიაცს, რომელსაც უკვირს თუ როგორ ცხოვრობს წყვილი ერთად ათწლეულების განმავლობაში და ქალს ეკითხება: ამდენ ხანს ერთ მამაკაცთან რა გაჩერებსო...

ზოგიერთი ტელეწამყვან ჟურნალისტს ქორწინებამდე სქესობრივი კავშირი არა მარტო ჩვეულებრივ ამბად, არამედ მიზანშეწონილადაც კი მიაჩნია. შ. რუსთაველი წერდა: „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“-ო. შეიძლება ქორწინებამდე მტლაშა-მტლუში გულიანი იყოს, მაგრამ „ოდეს ტურფა გაიაფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად“. გაიაფებული სიყვარული კი შეიძლება სიძვაში გადაიზრდოს, რადგანაც „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი: იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“. და „უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია“. არავინ იცის ეს მტლაშა-მტლუშის ტკბილი გრძნობა რამდენ ხანს გაყვებათ ახალგაზრდებს. სიყვარული ხომ ისეთი გრძნობაა, რომელიც „განსწავლულსა გააშმაგებს, უსწავლელსა გაასწავლის“, ამავე დროს „საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-მოკლულად“. შოთამ ბრძანა „სიყვარულსა მალვა უნდა“-ო, მაგრამ ისიც ბრძანა, რომ „ბოლოდ ყოვლი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“-ო, ჩვენი ტელეეკრანები სიყვარულს კი არ მალავენ, ლამის მაყურებელს დაორსულების პროცესი აჩვენონ.

უხერხულია ქალიშვილობის ინსტიტუტზე ლაპარაკი, მაგრამ დიაცებმა ეს საკითხიც ტელეეკრანზე სამსჯელოდ გამოიტანეს. მათი განსწავლულობის საზომით დაზიანებული საქალწულე აბკი იგივეა, რაც თვალგარღვეული ქალის წინდა, რომელიც გამოსაყენებლად სრულიად უვარგისად მიაჩნია მის მომხმარებელს. მაგრამ არსებობს სხვაგვარი შეფასებაც, რომლის შესახებ საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანდა. სიწმინდეს და სიბილწეს თუ ვერ არჩევს ადამიანი, ის ვერც სიყვარულსა და გატაცებას გაარჩევს ერთმანეთისგან. ჩვენთან გატეხილ კვერცხს ფასი არა აქვს, არც ინახავენ, მალე ფუჭდება და გადასაგდები გახდება. გატეხილი თოხლო კვერცხის ფასი აქვს დაზიანებულ აბსკსაც.

მეც ისეთ გადაცემებს შევზღუდავდი, რომელიც ხორციელ სიამოვნებაზე არის ორიენტირებული, მის მონაწილეებს კი არაფრად მიაჩნიათ სულიერი სიწმინდე, უანგარო, ხალასი სიყვარულის იდუმალი გრძნობა. ცხიერებაში ატარებენ ნამუსახდილ ცხოვრებას, არ განიცდიან სინდისის ქენჯნას და საამაყოდაც კი მიაჩნიათ სხვადასხვა მამაკაცების ლოგინში კოტრიალის შესახებ სახალხოდ ლაპარაკი. მათთვის მთელ და გატეხილ კვერცხს ერთი ფასი აქვს. „ვისაც როგორ უნდა, თავის სხეულს ისე გამოიყენებს, ეს მისი უფლებაა“ იტყვიან მავანნი. მეც ვიცი, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ აღვირახსნილთა შეგნება-ცხოვრებაში არაფერი შეიცვლება, მაგრამ კიდევ ერთხელ, ხმამაღლა მინდა, ვთქვა, რომ ის, რაც სხვა ხალხებს ნორმალური ცხოვრების წესად მიაჩნიათ, მიუღებელია შოთა რუსთაველის შთამომავლებისათვის.

ჩვენებურ ოჯახს სხვა ღირებულებები გააჩნია. ბებიაჩემის დროს ტელევიზია არ არსებობდა, მაგრამ მან ტელესეანსების ყურების გარეშე რვა შვილი გაზარდა.

ყოველ ცოცხალ არსებას შემოქმედი აყოლებს სამ ინსტიქტს, რომელსაც არავითარი წიგნიერი სწავლა არ ესაჭიროება, ესენია: კვების, თავდაცვის და გამრავლების ინსტიქტი.

წყალს ნუ ამღვრევთ და ნუ ნაყავთ, შოუმენებო, წყლადვე დარჩება, სხვა ყველაფერი ფორმას, შინაარსს და ღირებულებებს იცვლის, რასაც ზოგიერთის ღირსება ეგუება და ზოგისა - ვერა.

არ დაგავიწყდეთ, ვისი გორისა ვართ და არ დაივიწყოთ შ. რუსთაველის აქ მოხსენიებული და სხვა მრავალი შეგონებანი.

რევაზ გრიგალაშვილი

ხაშურის სასწრაფო დახმარების სამსახური მისამართს იცვლის

ყველანი ერთხმად ვთანხმდებით, იმაზე, რომ ადამიანი, პირველ რიგში, სუფთა ფიზიოლოგიური არსებაა და შემდეგ ეძლევა სულიერის თუ მორალურის გაგების შეგრძნება და აღქმა. იწყება ზრუნვა საკუთარ ჯანმრთელობაზე, რომ მერე საშუალება მოგვეცეს ჯანსაღმა სხეულმა, ჯანსაღი სულიერი ფასეულობები შექმნას. ეს ფილოსოფიური ქარაგმებია, თუმცა რეალურ ცხოვრებაში, ყველა ადამიანს, არსებობის განმავლობაში, ერთხელ მაინც მიუმართავს სხვადასხვა ტიპის სამედიცინო ჩარევებისა თუ მანიპულაციებისთვის. არსებობს ექსტრემალური სიტუაციები, სადაც სიცოცხლის გადარჩენა დიდ რისკებთან და მცდელობებთანაა დაკავშირებული-ეს სასწრაფო სამედიცინო სამსახურია, თავისი ოცდაოთხსაათიანი სამედიცინო და ადამიანური ვალდებულებით. ამ სამსახურის ანგარიშზე(სტატისტიკის მოყვანა აქ უადგილო იქნებოდა),

უამრავი გადარჩენილი სიცოცხლეა. ხაშურის სასწრაფო დახმარების ცენტრიც ერთ-ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელიც ფხიზლად დარაჯობს ჩვენს ჯანმრთელობას. ისინი მალე ახალმოსახლეობას აღნიშნავენ, ახალ მისამართზე, გაფართოებული და სწრაფი სამედიცინო სერვისით.

<u>დავით სუპატაშვილი-სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ხაშურის ფილიალის მენეჯერი:</u>

-ჩვენმა სამსახურმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას ფართის გამოყოფის თაობაზე, ადრეც მქონდა გამგებელთან ამასთან დაკავშირებით საუბარი. ადგილი, სადაც ახლაა განთავსებული სამედიცინო დახმარების ცენტრი, კერძო კომპანია, ხაშურის საავადმყოფოს ეკუთვნის და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაგვითმეს. დღეისათვის, გამგეობამ ფარნავაზის ქუჩაზე გამოგვიყო 280 კვ.მეტრის ფართი, რომელზეც აუცილებელია სარემონტო სამუშაოების ჩატარება, თუმცა ჯერ არ ვიცი, რომელი მხარე აიღებს მისი რეაბილიტაციის ვალდებულებას.

<u>-რამდენი ერთეული მანქანა და სამედიცინო ბრიგადა ემსახურება დღეისათვის ხაშურის რაიონს? რამდენად სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას სთავაზობთ მოსახლეობას?</u>

-აქამდე 3 მანქანა და, შესაბამისად, სამი ბრიგადა ემსახურებოდა ხაშურს, დღეისათვის დაგვემატა კიდევ ერთი მანქანა, რაც სრულიად საკმარისია. გაიზარდა პერსონალის რაოდენობაც. ჩვენ როდესაც დავიწყეთ მუშაობა, ავტოპარკი სავალალო მდგომარეობაში იყო, დღეს მთლიანად განახლებულია, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთესი და უფრო სწრაფი სამედიცინო სერვისი შევთავაზოთ მოსახლეობას. ყველაზე მინიმალური დრო გამოძახების ადგილამდე მისვლის, 30 წუთია. არის ცრუ გამოძახებები, რაც აფერხებს მომდევნო გამოძახებაზე გასვლას, თუმცა მეოთხე მანქანის დამატება, მოხსნის ამ პრობლემასაც

<u>-რაც შეეხება ექიმებს და მათ პროფესიონალიზმს, შეუძლია მოსახლეობას, თამამად ანდონ თავიანთი სიცოცხლე?</u>

-ამ ეტაპზე გვყავს 18 ექიმი, 16 ძირითადი და ორი - რეზერვი. ექთნებიც იგივე რაოდენობის, რომელთა კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმში არ შეიძლება ეჭვის შეტანა. მედიცინა ისეთი სფეროა, რომელიც სულ განახლებას, სწავლას გულისხმობს. ჩვენი ექიმებიც სისტემატურად გადიან ტრენინგებს და გადამზადების პროგრამებს, რათა მაქსიმალურად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, რაც ადამიანის სიცოცხლის გადარჩენასთან ასოცირდება. ამჟამადაც, დაწყებულია გადამზადების პროგრამა, რომელიც ეტაპობრივად მიმდინარეობს.

<u>- რა წარმოადგენს თქვენი სამსახურისათვის ყველაზე დიდ პრობლემას?</u>

-ყველაზე დიდ პრობლემას მოსახლეობასთან ურთიერთობა წარმოადგენს, მათი სკეპტიკური დამოკიდებულება ექიმების მიმართ, რომლებიც ძალღონეს და ენერგიას არ იშურებენ მათი სიცოცხლისათვის. თუ ბრიგადამ დააგვიანა, ეს ექიმების სურვილით არ ხდება, შეიძლება სხვა გამოძახებაზე იყვნენ და დროულად მისვლა ვერ შეძლონ, მაგრამ დღეისათვის ეს პრობლემაც მოხსნილია. სახელმწიფო მაქსიმალურად ზრუნავს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე, რაც სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების ხელშეწყობაშიც აისახება. გარდა განახლებული ავტოპარკისა, სისტემატურად ხდება მედიკამენტებით აღჭურვა, გადმოგვეცემა კარდიოგრაფი, დეფიბრილიატორი. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ გავაუმჯობესოთ პირველადი სამედიცინო მომსახურება, რაც საშუალებას მოგვცემს ვიზრუნოთ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე. გისურვებთ დღეგრძელობას და ჯანმრთელობას!

თ . ჯავახიშვილი

<u>პოზიცია</u>

ქალბატონო ნინო, არ გრცხვენიათ?!

ნინო ბურჯანაძე, კრემლის სპიკერის მიწვევით, მოსკოვში გაემგზავრა. სულხან-საბასგან განსხვავებით, ნინო დიდხანს არ ალოდინეს და არც მეთხუთმეტე კაცად შევიდა, პირიქით, პირველივე მიიღეს, დითირამბებიც უმღერეს. არ ჩანდა, მაგრამ შესაძლოა წითელი ხალიჩაც დაუგეს და საერთოდაც, ცხადია, რომ რუსეთში უყვართ თავიანთი ხალხი. მე იმაზე ვდარდობ, ნეტავ, ქალბატონმა ნინომ გზის ფული ხომ არ გამოართვა იმ "პა-

ტიოსან ხალხს"?! სირცხვილია, ჩადიხარ, გასმევენ, გაჭმევენ, გაცხოვრებენ, ათას დარიგებას უანგაროდ გაძლევენ და კიდევ გზის ფული მოთხოვო.

ნინო ბურჯანაძემ თქვა, ჩემი რუსეთში წასვლის მთავარი მიზანი ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუმჯობესებაა. მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს ასე მალე მიღწეული შედეგი - დიახ, ბურჯანაძის ჩასვლიდან მეორე დღეს, გორის რაიონის სოფელ ხურვალეთში ოკუპანტებმა საზღვარი გადმოწიეს, იმედია, ქალბატონი ნინო მალე დაბრუნდება, თორემ კიდევ უფრო "გაუმჯობესდება" ქართულ-რუსული ურთიერთობები!

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე რუსეთში ერთ-ერთ გადაცემასაც ესტუმრა და განაცხადა, ქართულ მხარეს არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ რუსეთთან დიალოგი დაიწყოსო.

ეჰ, ქალბატონო ნინო, მაგ ქართულ მხარეს არც იმის ვაჟკაცობა ჰყოფნის, რომ ლუსტრაციის კანონი მიიღოს, თორემ დიდი ხანია ყველასთვის ცხადი იქნებოდა, რატომ დადიხართ რუსეთში. ჭკვიანი პოლიტიკოსი ხართ და დარწმუნებული ვარ, უწყით, რომ ეს ვიზიტები და მანდ გაკეთებული განცხადებები, ქულებს არ მოგიტანთ.

ალბათ, მალე ჩამოხვალთ და ტელე-ეთერებიდან ისევ გვიქადაგებთ. ისევ გვეტყვით, რომ საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა თქვენ ხართ, ისევ გალანძღავთ სააკაშვილს და იტყვით, რომ ომი მან დაიწყო, სააკაშვილის ცოდვებს გაიხსენებთ, სხვათაშორის, იმ სააკაშვილისას, რომლის მარჯვენა ხელად ითვლებოდით. ისევ გვეტყვით, რომ თუ არ მოგცემთ ხმას,

ქვეყანა დაიღუპება და კიდევ ბევრი "ისევ" იქნება... ამ ყველაფრის მერე მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, იმ ქვეყნისა, რომლის პრეზიდენტიც ორჯერ იყავით და რომლის ბედიც ერთ დროს თქვენს ხელში იყო, ერთადერთი კითხვა გამიჩნდება - ქალბატონო ნინო, არ გრცხვენიათ?!

ლადო გოგოლაძე

ხაშურელები-საზღვარგარეთ

შალვა დათიაშვილი-ხაშურელი დიპლომატი ეთიოპიაში

რუბრიკაში "ხაშურელები-საზღვარგარეთ", იმ ხაშურელების შესახებ მოგიყვებით, რომელთა საქმიანობა და მოღვაწეობაც გასცდა ხაშურის(და არა მხოლოდ) საზღვრებს. ისინი წარმატებული პოლიტიკოსები, ხელოვანები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებიარიან. როდესაც ბატონმა გოგიმ (გაზეთის დირექტორი), ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმრის შესახებ მითხრა, ცოტა შევშინდი, ხუმრობა ხომ არაა, უმასპინძლო ეთიოპიის ფედერალურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველს. ველოდებოდი რესპოდენტს, საშუალო ასაკის და ჩემის ფიქრით, სუფთა ტიპიურ ქართველ მამაკაცს, თავისი ქართული გარეგნობითა და შეხედულებებით და სულაც არ მიფიქრია, რომ ჩემს წინ გაჩერებულ ველოსიპედს, ჩემი წარმოდგენების რადიკალურად შეცვლა შეეძლო. შალვა დათიაშვილი, ეთიოპიის ფედერალურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი, შვებულებით იმყოფება მშობლიურ ქალაქში და სიამოვნებით დაგვთანხმდა, თავის საქმიანობაზე და იმ ქვეყანაზე ესაუბრა, სადაც თავის მოღვაწეობას აგრძელებს. აქამდე კი, მან გრძელი და წარმატებული გზა განვლო, ღირსეული ოჯახის ღირსეულ შვილს, არ გაჭირვებია, დიპლომატიურ სარბიელზე თავის დამკვიდრება. შალვა კარგი რესპოდენტი და მოსაუბრე აღმოჩნდა და გამაცნო ქვეყანა, რომლის შესახებ, ჩემდა სამარცხვინოდ, ცოტა რამ თუ ვიცოდი.





შალვა დათიაშვილი :

-დავამთავრე აზია-აფრიკის ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, შემდეგ, მუშაობა დავიწყე საგარეო საქმეთა სამინისტროში. 2004-2007 წლებში ვმუშაობდი ეგვიპტეში, მეორე მდივნად. იყო საქართველოში დაბრუნების პერიოდი. 2009-2012 უნგრეთში პირველი მდივანი ვიყავი, 2012 წლიდან დღემდე ვარ ეთიოპიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საქართველოს საელჩოში მრჩევლად. ძალიან საინტერესო და განსხვავებული ქვეყანაა, თავისი ისტორიით, ცხოვრების წესით, კულტურით. წაროადგენს ფედერალურ რესპუბლიკას, დაყოფილია ფედერალურ ერთეულებად. ეთიოპია ეფუძვნება ეთნიკურ პრინციპებს. თითოეულ მიწას აქვს თავისი დროშა, რეგიონული ენა. ქვეყნის მოსახლეობა 88 ენაზე და დიალექტზე საუბრობს. მოსახლეობა დღევანდელი მონაცემებით, 92-95 მილიონს შეადგენს. მოსახლეობის 65% ქრისტიანია, რომელთა უმრავლესობა არის მონიფიზიტი ქრისტიანი, თუმცა რელიგიური მრავალფეროვნებით ხასიათდება, არიან კათოლიკები, პროტესტანტები, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია. ქვეყნის პრეზიდენტი ჰაილემ მარიამ დესალეგანიც პროტესტანტია, იგი წარმომადგენელია ვალაიტას მცირე ერის. ეთიოპიელი ხალხის უმრავლესობა სემიტური წარმოშობისაა, აქვთ კანის მუქი შეფერილობა და ევროპოიდული სახის ნაკვთები, რაც მათ გამოარჩევთ სხვა აფრიკული ხალხებისაგან. ეთიოპის ფედერაციულ რესპუბლიკას დიდი წვლილი მიუძღვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი სიამაყით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ქვეყანა არასოდეს ყოფილა კოლონია., სწორედ ამ ფაქტორმა ითამაშა მთავარი როლი, რომ ქალაქ ადის-აბებაში მდებარეობს აფრიკის კავშირის კომისიის შტაბ-ბინა. სახემწიფო ენა არის "ამჰარული", ეთიოპიელ ქრისტიანებს კი აქვთ ენა "გეზე", რომელიც ლიტურგიულია და საფუძველია ორი ენის, ამჰარულის და ტიგრაის. აქ იყენებენ იულიუსის კალენდარს, რომლის მიხედვითაც დღეს ეთიოპიაში 2007 წელია, წელიწადში 13 თვეა, ყოველთვე 30 დღეა, მეცამეტე თვე, 5-6 დღეა, იმის მიხედვით, წელიწადი ნაკიანია თუ არა. ეთიოპია ითვლება ყავის სამშობლოდ, აქ მოჰყავთ მსოფლიოში საუკეთესო ხარისხის და გემოვნური თვისებების ყავა. ამჟამად ქვეყანა საკმაოდ დინამიურად და სწრაფად ვითარდება, ქვეყნის ეკ. განვითარება ყოველწლიურად ორციფრიანი პროცენტული მაჩვენებლით განისაზღვრება. მიმდინარეობს ჰესების მშენებლობა, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას გაზარდოს შემოსავალი და ეთიოპია იქცეს საშუალო შემოსავლიან ქვეყნად.

ძალიან საინტერესო და ეგზოტიკური ქვეყანაა ტურისტულადაც. უძველესი ადამიანი "ლუსი" ეთიოპიელია. აქ სათავეს იღებს ლურჯი ნილოსი, რომელიც ცნობილია თავისი წყალუხვობით. დედაქალაქი ადის-აბება(ახალი ყვავილი) დაახლოებით 126 წლისაა, უამრავი სანახაობრივი ადგილ-ქალაქები, რომელთაც განსაკუთრებული არქიტექტურული და ისტორიული ღირებულებები აქვთ. ლურჯი ნილოსი, ტანას ტბა, ისტორიული ქალაქი ლალი ბელა, გონდარი, აქსუმი და სხვა. ქვეყანაში მხოლოდ ორი სეზონია, 15 ივნისიდან 16 სექტემბრამდე წვიმის სეზონი, ზამთარია და მშრალი სეზონი ზაფხულს მოიცავს.

ია,

პირველი ქართველი ვისაც ურთიერთობა ჰქონდა ეთიოპიასთან, პეტრე მერაბიშვილი, XIX საუკუნეში, სტამბოლში შეხვდა ეთიოპიის იმპერატორს, მენელიქ II, რომლის პირადი ექიმიც გახდა შემდეგ და ექვსი წელი ემსახურა მას. გახსნა პირველი აფთიაქი "ფარმასი დე ლა ჟორჟი". 20 წლის შემდეგ დაბრუნდა საფრანგეთში და დაწერა მემუარები ეთიოპიაზე. თუმცა კავშირი ამ ორ ქვეყანას შორის, ადრეულ საუკუნეებიდან იღებს სათავეს. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს, მისი ჯარის გარკვეული ნაწილი დაკომპლექტებული იყო ეთიოპიელებით, აბაშელებით(აბაშა არის ეთიოპიის ისტორიული სახელი). არსებობს მოსაზრება, რომ მათი დაბანაკების გამო, ეწოდა აბაშის რაიონს დღევანდელი სახელწოდება. მიუხედავად, იმისა, რომ ქრისტიანები არიან, განსხვავებული ცხოვრების წესი აქვთ. სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი სფეროა, რომელშიც დასაქმებულია სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

...შალვა იმდენად კარგი მოსაუბრეა, ნებისმიერმა ჟურნალისტმა მხოლოდ უნდა ინატროს ასეთი რესპოდენტი. მეც არ "მეთმობა" და ვცდილობ, ჩვენი დიალოგი გახანგრძლივდეს. საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციებზეც მინდა რამე ვათქმევინო, მაგრამ დიპლომატიური ხერხებით იცილებს ამ თემას. თუმცა, ერთი კარგი რამ მაინც "დავტყუე"-ერთ კვირაში იგი ეთიოპიაში მიემგზავრება და დაგვპირდა, იქიდან შეეცდება ძალიან საინტერესო მასალები გამოგვიგზავნოს. ასე, რომ ჩვენი მკითხველი ელოდოს ერთგვარ "ეთიოპიურ დღიურებს".

თ. ჯავახიშვილი

"ამღერებული ხაშურელი პოეტები" ლიანა ტატიშვილის შემოქმედებაში

15 ივლისს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა კომპოზიტორისა და მუსიკალურ შემსრულებელის, ლიანა ტატიშვილის შემოქმედებით საღამოს უმასპინძლა. ამდენი "ამღერებული ხაშურელი პოეტი" ერთად, არასდროს უნახავს ქალაქს. იყო მუსიკა, პოეზია, კინოფირებზე გაცოცხლებული შემოქმედება, ბევრი იუმორი და ღიმილიანი, დაუვიწყარი საღამო. მურად მთვარელიძემ, საღამოს მასპინძლის ამპლუა მოირგო ჩვეული, დახვეწილი იუმორით. ყველა სტუმარმა ისაუბრა ქალბატონი ლიანას პიროვნულ თვისებებზე, როგორც სიკეთის ინდივიდუალურ გამოვლინებაზე, მის შემოქმედ ბუნებასა და ცხოვრებაზე, სადაც ძალიან ბევრია მუსიკა. არც მისი იუმორისტული ხასიათი დარჩენილა უყურადღებოდ. კინოფირებმა გააცოცხლეს ცნობილი ქართველი მომღერლების მიერ შესრულებული, სიმღერები, რომლის კომპოზიტორიც ქალბატონი ლიანა გახლავთ. პოეტები, მანანა დანგაძე, ეკა ბაქრაძე, მურად მთვარელიძე, ლალი ჯაფარაშვილი, რომელთა პოეტურ შემოქმედებასაც უფრო მეტი სილამაზე შესძინა ლიანას მუსიკამ, სიყვარულით და დიდი სითბოთი იხსენებდნენ მასთან მუშაობის შემოქმედებით პროცესს და კვლავინდებურად ლექსით ამკობდნენ მის ღვაწლს ხაშურის წინაშე. ქალბატონმა ლიანამ, სიამაყით აღნიშნა, რომ ათეულობით წელია, რაც მუსიკალურ-აღმზრდელობით საქმიანობას ეწევა, რაც დიდ სიყვარულთანაა დაკავშირებული და ერთი ნომერი, თავის აღსაზრდელთან ერთად შეასრულა. ძალიან საპასუხისმგებლო და ემოციური მომენტი იყო მისი შვილიშვილის მიერ ფლეიტაზე შესრულებული ორი ნაწარმოები-გენეტიკა ღირსეულად მეორდება. ძალიან თბილი შემოქმედებითი საღამო, რომელსაც დიდი ხანია ელოდა ხაშურის საზოგადოება, ყვავილებით, კეთილი სურვილებითა და მომავალში განმეორების იმედით დასრულდა. ჩვენი რედაქცია, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებას უსურვებს ქალბატონ ლიანას და ელოდება მისი აღსაზრდელების ღირსეულ გამოსვლებს მსოფლიოს არაერთი ქვეყნის სცენაზე!

თამარ ჯავახიშვლი

ტიხრული მინანქარი ხაშურშიც იქმნება...

ბატონ მალხაზს, გასულ კვირას არტ-გენის ფესტივალზე შევხვდი, სადაც თავისი მოკრძალებული, თუმცა ძალიან ლამაზი და ფასეული ნამუშევრები ჰქონდა გამოტანილი. როგორც გავიგე, ის ერთადერთია ხაშურში, რომელიც ტიხრული მინანქრის ნამუშევრებს ქმნის.

მალხაზ მეგრელიშვილი:

- პროფესიით მხატვარი ვარ, ხეზე მჭრელი, ალბათ, ამანაც განაპირობა ჩემი ტიხრული მინანქრით დაინტერესება და ვერ დავმალავ, მატერიალური დაინტერესებაც იყო. სულ რამდენიმე წელია, რაც მინანქარზე დავიწყე მუშაობა, თბილისში ვნახე ადამიანი, რომელმაც ტექნოლოგიური

მხარე შემასწავლა, თუმცა, ამას უფრო გაცნობითი სახე ჰქონდა, რადგან დროის უქონლობის გამო, ვერ მოვახერხე საფუძვლიანად დავუფლებოდი ამ რთულ საქმეს და ძირითადად დღესაც მიგნებების და ძიებების პროცესში ვარ, რაც დამატებით დროს და ენერგიას მოითხოვს ჩემგან.

-როგორია ტიხრული მინანქრის ტექნოლოგია?

-დავიწყებ იქიდან, რომ ტიხრული მინანქრის ხელოვნება დასაბამს II საუკუნიდან იღებს და ძირითადად საქართველოსა და ბიზანტიაში იყო გავრცელებული. უამრავი ფასეული ნიმუში შეიქმნა, როგორც საიუველირო, ასევე ხატების სახით. რაც შეეხება ტექნოლოგიას, ძალიან რთული, შრომატევადი და სპეციფიკურია. ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე, რომ ამის კეთება შეძლო, მოითხოვს აბსოლუტურ მხედველობას და დროს. უამრავი პროცედურებია, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ტექნოლოგია გამარტივდა. სამი სახის ლითონი გამოიყენება მასალად, სპილენძი, ოქრო და ვერცხლი. ჩემთვის ყველაზე ხელმისაწვდომია და კომერციულადაც გამართლებული, ვერცხლზე მუშაობა. ვერცხლის თხელ, უკვე გამზადებულ ფირფიტას, პინცეტის საშუალებით ვუკეთებ თხელ ტიხრებს, რის მეშვეობითაც ხდება ფერების გაყოფა, შემდეგ სპეციალურ წებოს ვუსვამ და ფუნჯით სასურველ ფერებს ვსვამ. ეს ფერები არის დაფხვნილი შუშა,რომელიც 750 გრადუსიდან ზევით დნება. ტიხრული მინანქარის ხელოვნება, ერთ-ერთი ურთულესი დარგია ხელოვნების, რაც ლითონის ლღვობასთან და ცეცხლთანაა კავშირში. დაახლოებით ოთხი ფენის ჩადება ხდება, ვერცხლზე წებდება ტიხარი, შემდეგ შუშის ფხვნილი, სხვადასხვა ფერი, რომლებიც კომპოზიციის ასაწყობად გამოიყენება და ბოლო ეტაპი, დამუშავების რამდენიმე პროცედურას მოიცავს, რომელიც განსაკუთრებული ჰიგიენური ნორმების დაცვას მოითხოვს. ყველაზე დიდ სირთულეს მაინც ტიხრების გამოყოფა წარმოადგენს.

-რამდენადაც მივხვდი, ძალიან შრომატევადი პროცესია მინანქარზე მუშაობა, დაახლოებით რა დრო გჭირდებათ, ერთი საშუალო ზომის და სირთულის ნამუშევრის შესაქმნელად?

-სამწუხაროდ, დღეს სხვა საქმიანობით ვარ დაკავებული და მინანქარზე მუშაობას ვერ ვუთმობ საკმარის დროს. ერთი ნამუშევარის გასაკეთებლად, დაახლოებით ერთი კვირა მჭირდება, ბევრი რამ ტექნოლოგიის შესახებ, დღემდე უცნობია ჩემთვის, რადგან სპეციალიზებული განათლება არ მაქვს ამ კუთხით, ეს ველოსიპედის თავიდან გამოგონებას ჰგავს-ძიების და მიგნების პროცესში იკარგება დრო. არის მეორე მომენტიც, მე ვაკეთებ ოთხ ფენას, როცა სხვა ოსტატები, მხოლოდ ერთ ფენას და მათ ნამუშევრებს სუფთა კომერციული დანიშნულება აქვს, მუშაობენ რაოდენობაზე და არა ხარისხზე.

-რა ტიპის ნამუშევრებს აკეთებთ?

-ძირითადი აქცენტი ხატების და ჯვრების კეთებაზე მაქვს გადატანილი. მაქვს კურთხევაც. ძალიან სპეციფიკურია და რელიგიის განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს. მაქვს გაკეთებული ხატი, რომელიც წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას შევწირე, გორათის ეკლესიის ბარძიმისთვის გავაკეთე ოთხი ხატი, ასევე, სამკაულები, საყურეები, ბეჭდები. ჩემი ნამუშევრების დიდი ნაწილი სანათესაოს საკუთრებაა. თუმცა, მომავალში ვგეგმავ, ჩემს ნამუშევრებს, მხოლოდ სასაჩუქრე დანიშნულება არ ჰქონდეს.

-როგორც მივხვდი, გაფართოებაზე და კომერციულ გათვლებზეც ფიქრობთ...

-დიახ, სახელოსნოს ვაკეთებ, სახლში გამოვყავი ოთახი, სადაც მშვიდად მუშაობას შევძლებ. სექტემბრისათვის უკვე დავასრულებ საჭირო ინვენტარით

აღჭურვას და შევუდგები აქტიურ მუშაობას. ჯერ არ მაქვს იმ რაოდენობის ნამუშევრები, კომერციაზე და რეალიზაციაზე ვიფიქრო, თუმცა, ხაშურის გარდა, სხვა ტურისტულ ქალაქებზეც ვფიქრობ, სადაც დიდია დაინტერესება მსგავს ნამუშევრებზე.

ბატონმა მალხაზმა, პირობა მომცა, რომ ახალ სახელოსნოში მიმასპინძლებს და ტიხრული მინანქრის იმ საიდუმლო ტექნოლოგიასაც მაჩვენებს, რომელიც ყველა ოსტატს აქვს გადანახული და რომელზეც ამჯერად აქ, არ ისაუბრა.

თ. ჯავახიშვილი

ზაზა აბრამაშვლის აღსაზრდელების წარმატება

ამ დღეებში, ქუთაისმა, 2015 წლის საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა ბატუტზე ხტომაში,

სადაც ხაშურის ნაკრები გუნდიც მონაწილეობდა.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ ხაშურში ბატუტზე მხტომელებს საქართველოში, ამ სახეობაში, ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზაზა აბრამაშვილი წვრთნის. ამიტომაც, გასაკვირი არაა ის წარმატება, რასაც ამ ჩემპიონატში ჩვენმა მოზარდებმა მიაღწიეს.

ჭაბუკთა მეორე თანრიგში პირველი ადგილი მათე აბრამაშვილმა დაიკავა. მესამე თანრიგში ასევე ჩემპიონი მამუკა ჟვანია გახდა, ვერცხლის მედალი გიორგი ტიტვინიძემ მოიპოვა, ბრინჯაოსი კი – ლუკა მსხალაძემ. ამავე თანრიგში, გოგონათა შორის, მეორე იყო ნუცა გუგბერიძე, მესამე კი – ეკა ხვედელიძე.

უმცროსი ასაკის გოგონათა შორის, პირველ თანრიგში, ნია ჩინჩალაძე ჩემპიონი გახდა, მარიამ გიორგაძემ კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მართლაც, შესანიშნავი შედეგია, მითუმეტეს, რომ ეს მოზარდები არცთუ დიდი ხანია, რაც სპორტის ამ ულამაზესი სახეობით არიან დაკავებულნი.

სასიხარულოა, რომ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის შემდეგ, ხაშური ბატუტზე მხტომელთა ერთ-ერთ ცენტრად იქცა და ეს, რა თქმა უნდა, ზაზა აბრამაშვილის დამსახურებაა, რომლის უდიდესი გამოცდილება და პროფესიონალიზმი იმის გარანტიაა, რომ ეს მოზარდები მომავალში უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევენ

D რეზო ჩადუნელის ხსოვნას

დირსეულად იცხოვრე 67 წელი. ისე, როგორც შეეფერება ქართველს, ღვთის მოშიშს. ზნეობა იყო შენი ცხოვრების კრედო. პრინციპს არასდროს ღალატობდი.

სამაგალითო მეუღლე, მამა ბაბუა დააკლდი ოჯახს. სანიმუშო იყავი სამსახურში, სადაც 42 წელი მოღვაწეობდი.

თბილი და მშვიდი ხასიათის, ერთგული პიროვნება დაკარგა ოჯახმა, ნათესაობამ, სამეგობრომ.

22 ივლისს შენს დაბადების დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ, ჩვენო რეზო. ძალიან გვაკლიხარ და გვიმძიმს შენს გარეშე ყოფნა და ცხოვრება.

შენი ერთგული მეუღლე ციური, შვილები და შვილიშვილები არასდროს შეარცხვენენ შენს ოჯახს და სახელს.

ღმერთმა მოგცეს სასუფეველი და დაგიმკვიდროს სამუდამო ბინა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი ოჯახი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.